

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის ტარდება უფასო სკრინინგი. დაზუსტებული ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მსურველებმა სათანადო განაცხადის შევსებული ფორმა (დანართი 1) წარმოადგინონ ქალთა ასოციაციის თავჯდომარესთან - ნაზი კუციავა.

საკონტაქტო ინფორმაცია: 599 96 44 48

e-mail: n.kutsuava@gtu.ge

1. ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-დან 70 წლის ჩათვლით,

რაც ითვალისწინებს მამოგრაფიულ გამოკვლევას, საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, ძუძუს ექოსკოპიას და მამოლოგიურ გასინჯვას, აუცილებლობის შემთხვევაში, ძუძუს ბიოფსიასა და მიღებული მასალის ციტოლოგიურ კვლევას.

ძუძუს კიბოს სკრინინგი უფასოდ ტარდება ორ წელიწადში ერთხელ;

შენიშვნა: ძუძუს ბიოფსიისა და ციტოლოგიური კვლევის პროგრამულ სერვისს მიიღებენ მხოლოდ ქ.თბილისში რეგისტრირებული პირები

2. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-დან 60 წლის ჩათვლით,

რაც ითვალისწინებს პაპ-ტესტს; საჭიროების დადასტურების შემთხვევაში კოლპოსკოპიას, აუცილებლობის შემთხვევაში, კოლპოსკოპიის დროს ბიოფსიური მასალის აღებას და მორფოლოგიურ კვლევას.

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი უფასოდ ტარდება სამ წელიწადში ერთხელ;

3. კოლორექტული (მსხვილი ნაწლავის) კიბოს სკრინინგი 50-დან 70 წლის ჩათვლით, (ორივე სქესის პირებისთვის)

რაც ითვალისწინებს ფარულ სისხლდენაზე სპეციალურ ტესტს (FOBT); საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, კოლონოსკოპიას; აუცილებლობის შემთხვევაში, კოლონოსკოპიის დროს ბიოფსიური მასალის აღებას და მორფოლოგიურ კვლევას.

მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი უფასოდ ტარდება ორ წელიწადში ერთხელ.

4. პროსტატის კიბოს მართვა (სკრინინგი) 50-დან 70 წლის ჩათვლით,

რაც ითვალისწინებს სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის (PSA) განსაზღვრას.

პროსტატის კიბოს სკრინინგი უფასოდ ტარდება წელიწადში ერთხელ;

შენიშვნა: ამ კომპონენტში ჩასართავად, ქ.თბილისს გარეთ რეგისტრირებული პირებისთვის, აუცილებელია ოჯახის ექიმის ან შესაბამისი სპეციალისტის მიმართვა.

თუ პირს ოდესმე უსარგებლია სკრინინგის პროგრამით, უფასო კვლევა ეკუთვნის მხოლოდ:

- საშვილოსნოს ყელის ბოლო კვლევიდან 3 წლის შემდეგ
- ძუძუს კვლევიდან 2 წლის შემდეგ
- მსხვილი ნაწლავის კვლევიდან 2 წლის შემდეგ
- პროსტატის კვლევიდან 1 წლის შემდეგ.

თუ რეკომენდაციის სხვა ვადა არ არის პასუხში მითითებული.

ეროვნულ სკრინინგ ცენტრში 2018 წლიდან იგეგმება ფარისებრი კირკვლის კიბოს მართვის (სკრინინგის) უფასო პროგრამის განხორციელებაც, რომლის ფარგლებში, მხოლოდ ქ.თბილისში რეგისტრირებული პირები მიიღებენ პროგრამით გათვალისწინებულ უფასო სერვისებს.

დანართი 1

მიმწოდებელი დაწესებულება: **ეროვნული სკრინინგ ცენტრი დიდუბის ფილიალი**

ინფორმირებული თანხმობა

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან ფიზიკური პირის შესახებ პერსონალური მონაცემების გამოთხოვის /დამუშავების თაობაზე

მე, , პირადი N:

თანხმობას ვაცხადებ, რომ მომწოდებელმა დაწესებულებამ „ეროვნული სკრინინგ ცენტრი“ (ს/კ202442730) კანონმდებლობით დადგენილი წესით „დაავადებათა სკრინინგის“ ქვეპროგრამით და „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის“ გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების მიზნით, მიიღოს/დაამუშაოს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, რეგისტრაციისა და მათი სტატუსების შესახებ ინფორმაციის თაობაზე ჩემი პერსონალური მონაცემები და ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ ცენტრის“ ბაზაზე არსებული ელექტრონული საინფორმაციო პროგრამიდან სამედიცინო ისტორიის მონაცემები.

აღნიშნულ თანხმობას ვადასტურებ ხელმოწერით:

თანხმობის გაცემის თარიღი:

სახელი/გვარი

ხელმოწერა